დავით მალაზონია

ილია ჭავჭავაძის იდეურ–პოლიტიკური მრწამსი.

ილია ჭავჭავაძის სოციალურ–ეკონომიკური და ფილოსოფიური წარმოდგენების, მსოფლგაგების ფორმირება ძირითადად ეროვნული წყაროს – საქართველოს პოლიტიკური ვითარების, მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის, აზროვნების, მდიდარი კულტურული ტრადიციების ფონზე ხდებოდა. ასევე გასათვალისწინებელია უცხოეთში (მათ შორის რუსეთში) გავრცელებული საზოგადოებრივ–პოლიტიკური – მიმდინარეობების ზეგავლენაც – მათი კრიტიკულ–შემოქმედებითი ათვისებით.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ი. ჭავჭავაძისა და, საერთოდ, ქართველ სამოციანელთა პრაქტიკული მოღვაწეობისა და აზროვნების ზოგადი ასპექტების შეფასებისას არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იჩენდა. შეფასებათა უმრავლესობა სინამდვილესთან შეუფერებელ სიყალბეს წარმოადგენდა: აღინიშნებოდა მათი მსოფლმხედველობის „რეაქციული" („თავადაზნაურულ–ლიბერალური", „ნაციონალისტური", „ბურჟუაზიული" და სხვ.) ხასიათი.

თერგდალეულთა იდეური მემკვიდრეობის ასეთ ტენდენციურ შეფასებას მკაცრად იდეოლოგიზირებული სინამდვილე იწვევდა და წინამორბედ მარქსისტთა მიერ დამკვიდრებული ტრადიციების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა (31). ჩვენში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური სისტემა ხელს უწყობდა ისტორიის გაყალბებას, რაც მთელი ისტორიოგრაფიის დეგრადაციის, მისი ძირითადი ფუნქციების დაკარგვის რეალურ საშიშროებას ქმნიდა.

პრ. რატიანის აზრით, „1934 წელს, იმ დროს, როდესაც მოსკოვში საბჭოთა მწერლობის პირველი საკავშირო ყრილობა ჩატარდა, ზემდგომი ორგანოების ჩარევის მეოხებით საზღვარი დაედო ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა

უხამს კრიტიკას, ეს თერგდალეულთა (და საერთოდ ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა) შეფასების საკითხში ერთგვარ შემობრუნებას მოასწავებდა" (22;18).

ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის „ახლებურად გააზრებისათვის" გამიზნულ ღონისძიებათა შორის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი იყო გაზეთ „პრავდაში" 1934 წლის 4 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატია, სადაც ილია დახასიათებული იყო, როგორც „საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ–რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე".

მაგრამ შემობრუნება არ ნიშნავდა ისტორიის ობიექტურ შესწავლას. უბრალოდ, ზემოთ ნაჩვენები შეურიგებელი დამოკიდებულების ნაცვლად დაკანონდა თერგდალეულების მექანიკური დაკავშირება რუსულ "რევოლუციურ–პროგრესულ" მოძრაობასთან. ასეთი ტრანსფორმაციის მიზანი ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიადაგის უარყოფა და მისი რუსულ–რევოლუციური იდეოლოგიით (სოციალისტურ–რევოლუციურით, წინარემარქსისტულით და ა. შ.) ახსნა იყო. მოგვიანებით ამავე ტენდენციით დამკვიდრდა თერგდალეულთა „განმანათლებლად" გამოცხადების პრაქტიკაც.

ქართველ სამოციანელთა შეხედულებების რევოლუციურ–დემოკრატიული აზროვნების იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევას მრავალი მკვლევარი ცდილობდა: ი. ანთელავა (1;29), ალ. ბენდიანიშვილი (2;160), ლ. გორგილაძე (5;69), ვ. გაგოიძე (4;17.23), ი. კაჭარავა (10;17–33), ზ. შველიძე (25;51), ა. ქუთელია (33;410)... იგივე აზრია გატარებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" V ტომში. თუმცა, საბოლოოდ, წიგნის ავტორების მიხედვით, ილიას რევოლუციონიზმს პრაქტიკულზე უფრო იდეური შინაარსი ჰქონდა (20;884). უფრო შორს მიდის მ. კვესელავა: ილია საზოგადოების გარდაქმნის რევოლუციურ გზასთან ერთად სოციალური საკითხის პრიორიტეტსაც აღიარებდაო.

ხოლო პრ. რატიანი, 1861 წელს საქართველოში ილიას ჩამოსვლას ვითომდა რუსეთის რევოლუციურ–დემოკრატი-

ული ცენტრისაგან მიღებულ დავალებას – გლეხური რევოლუციის მოწყობას უკავშირებს (17;126). ანალოგიურია ვ. სიფრაშვილის მსჯელობაც: ილიას ადგილობრივი ვითარების გაცნობისას აუღია ხელი ბრძოლის რევოლუციურ ტაქტიკაზე და იძულებული გამხდარა სოციალურის მაგიერ წინა პლანზე ეროვნული პრობლემა წამოეწიაო (23;119). ილიას განზრახვის ასეთ შეცვლას იგი სწორი გზიდან გადახვევად მიიჩნევს.

დებულება ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის რევოლუციური ხასიათის შესახებ ძირშივე მცდარია. ეს დებულება რადიკალურად ეწინააღმდეგება როგორც ილიას მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციას.

პროფ. ფ. ლომაშვილს თერგდალეულთა მსოფლმხედველობის დაკავშირება რუსულ რევოლუციურ დემოკრატიზმთან მხოლოდ გლეხობის ანტიბატონყმურ მოძრაობასთან მიმართებაში მიაჩნია შესაძლებლად. მაგრამ ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის სპეციფიკა, მათ, მკვლევარის აზრით, თვისობრივად განასხვავებდა რუსი რევოლუციონერებისაგან, რის გამოც ამ მოძრაობას იგი „ქართულ რევოლუციურ დემოკრატიზმს“ უწოდებს (13; 78).

მოგვიანებით ფ. ლომაშვილმა უარყო თერგდალეულთა მსოფლმხედველობის რევოლუციურ–დემოკრატიული ხასიათი. მას მიაჩნია, რომ „თერგდალეულებმა ფართოდ გამოიყენეს აგრეთვე (გარდა ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლების ტრადიციებისა – დ. მ.) რუსეთისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზროვნების მიღწევები“ (13;80). მაგრამ ეს მოხდა არა მექანიკურად, არამედ შემოქმედებითად (13).[1]

გარდა პრაქტიკული მოღვაწეობისა, ილია რევოლუციურ დემოკრატიზმს იდეურადაც უპირისპირდებოდა. მას საზოგადოების განვითარების პერსპექტივა სოციალურ ფენათა დი-

[1] ძირითადად ანალოგიურია ა. სურგულაძისა (24,98) და შ. რადიანის (19,232) პოზიციები.

ალექტურ ერთიანობაში, ჰარმონიულ მთლიანობაში ესახებოდა.

კლასობრივ ურთიერთობათა საკითხებისადმი საპირისპირო დამოკიდებულების პარალელურად, მათ შორის მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ ბარიერს ქმნიდა განსხვავებული წარმოდგენები საზოგადოების მიზანშეწონილ ეკონომიკურ ორგანიზაციასა და საზოგადოებრივი პროგრესის არსზე. თუ თერგდალეულები მას სოციალური სამართლიანობის პირობებში კერძო საკუთრების საყოველთაობას უკავშირებდნენ, რევოლუციონერ–დემოკრატები საზოგადო, სათემო მფლობელობაზე გადასვლას მოითხოვდნენ. ასე, რომ ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის დაყვანა რევოლუციურ–დემოკრატიულ იდეებზე შეუძლებელია. იგი სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი მიმართულების შემოქმედებითად ათვისების შედეგია და მიმართულია მთავარი იდეის – განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობის, სოციალური პროგრესისა და საზოგადოებრივი ჰარმონიის მიღწევისაკენ.

იგივე ითქმის ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის განმანათლებლური ინტერპრეტაციის შესახებ. ეს თვალსაზრისია გატარებული 1996 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ ი. ანთელავას რედაქტორობით გამოცემულ წიგნშიც – „საქართველოს ისტორია“. აქ წარმოდგენილი საქართველოს განმათავისულებელი მოძრაობის სქემა (21;243), რომ არაფერი ვთქვათ მის საერთო იდეოლოგიად განმანათლებლობის გამოცხადებაზე, სხვა მხრივაც ტოვებს კამათის საფუძველს. კერძოდ, მიუღებელი ჩანს აზრი სოციალ–დემოკრატიის ეროვნულ საფუძველზე ჩამოყალიბების შესახებ. მისი იდეოლოგია და მიზნების მთელი სპექტრი ძირეულად უპირისპირდებოდა განმათავისუფლებელ მოძრაობას. მეტიც, ის ობიექტურად ხელს უწყობდა განმათავისუფლებელი ფრონტის რღვევას და ასუსტებდა ქართველი ხალხის მისწრაფებას ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ. სოციალ–დემოკრატიული (მარქსისტული) აზროვნების გავრცელება ჩვენში ეროვნული ნიადაგის გვერდის ავლით ხდებოდა. ასე რომ – ეროვნულ–

განმანთავისუფლებელ იდეოლოგიასთან სოციალ–დემოკრატიული აზროვნების მჭიდრო მემკვიდრეობითი კავშირის თვალსაზრისი არასწორი ჩანს.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს განმანათლებლობის იმ მიმართულების განსაზღვრა, რომელსაც აზრობრივად თერგდალეულთა განმათავისუფლებელი მოძრაობა უკავშირდებოდა. მკვლევართა ერთი ნაწილი რუსულ განმანათლებლობასთან იდეურ სიახლოვეს აღნიშნავდა, რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში კი განმანათლებლობა და რევოლუციური დემოკრატიზმი იდენტურ ცნებებად წარმოიდგინებოდა. შესაბამისად, მათთან თერგდალეულების იდეური დაკავშირებით ქართული თერგდალეულობისა და რუსული რევოლუციური დემოკრატიზმისა და განმანათლებლობის შინაარსობრივი გაიგივება ხდებოდა.

ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის თეორიული წყაროები ასეთი თვალსაზრისითაა განხილული „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" (20;243). ამავე პოზიციაზე დგანან მკვლევარები: ლ. გორგილაძე (6;323), ი.კენჭოშვილი (11;225), პ.გუგუშვილი (7;338), ა.თავაძე (9;67), ტ. სართანია (19;88), კ. მეძველია (15;275), რომლებიც თერგდალეულთა განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ–დემოკრატიული ხასიათის აღიარებისას ძირითად აქცენტს მის განმანათლებლურ შინაარსზე აკეთებენ.

მკვლევართა ნაწილი ქართული განმანათლებლობის რამდენადმე განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ისინი თერგდალეულთა მსოფლმხედველობის საფუძვლად მიიჩნევენ არა რუსულ, არამედ კლასიკურ (ევროპულ) განმანათლებლობას, რის გავლენასაც განიცდიდა თერგდალეულთა წინა თაობაც (3; 4–6).

ამ თვალსაზრისით განიხილა თერგდალეულთა „განმანათლებლური მსოფლმხედველობა" მ. გაფრინდაშვილმა და მის წიაღში აღმოცენებული იდეურ–პრაქტიკული მიმდინარეობის მოკლე შინაარსობრივი დახასიათება მოგვცა (3; 5–6).

მ. გაფრინდაშვილის შეფასებები ჩვენს რამდენიმე შენიშვნას იწვევს: კერძოდ, ს. მესხის, ნ. ნიკოლაძის და გ. წერეთლის პროგრამები სინამდვილეში არ ყოფილა უფრო რადიკალური, ვინემ ი. ჭავჭავაძისა და მისი დასისა იყო. რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში ყველაზე საჭირბოროტო, მწვავე საკითხად ეროვნული პრობლემა უნდა ჩაითვალოს, რომლის მოგვარების თანამიმდევრულ პროგრამას სწორედ ი. ჭავჭავაძე იძლეოდა.

აგრეთვე არ ვთვლით, რომ მათი პროგრამები მხოლოდ „მესამე წოდების" ინტერესების გამომხატველი იყო, და ვერც მათი აზროვნების სისტემაში სოციალისტური პრინციპების თვალსაზრისს გავიზიარებთ.

ბუნებრივია, ევროპულმა კულტურამ, განმანათლებლურმა იდეოლოგიამ დადებითი გავლენა იქონია ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია. ისეთ საკითხებში კი, როგორიცაა დამოკიდებულება ისტორიული წარსულისა და თავად ისტორიულობის მიმართ, აგრეთვე რელიგიისადმი, ისტორიული პროგრესის ხასიათისა და მისი განმაპირობებელი (მამოძრავებელი) ძალებისადმი, ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ინსტიტუტებისა და კულტურათა და რასათა განსხვავებულობის საფუძვლების ახსნისადმი – ილია შორს იდგა განმანათლებელთა პოზიციისაგან. ხოლო სოციალურ–ეკონომიკური თუ ლიტერატურულ–ფილოსოფიური პრობლემების ილიასეული ხედვა ნებისმიერი იდეოლოგიის ფონზე აზროვნების ახალ საფეხურს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის სოციალურ–განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა ხალხოსნობა. მკვლევარები – ლ. გორგილაძე (5;88), ზ.შველაძე (25;11) და სხვები გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხში ხედავდნენ თერგდალეულებთან მათ სიახლოვეს. იგივე აზრია გატარებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" (20; 524). მაგრამ ეს სიახლოვე ზედაპირულია და არა იდეური. ისინი სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე

იდგნენ საკუთრების ფორმებისა და მათი დანგრევის გზების საკითხში.

ნაროდნიკული მოძრაობა თვითმყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან ძალად იქცა, მაგრამ ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მისი დაკავშირება შეუძლებელია. რომ არაფერი ვთქვათ ხალხოსნებისაგან სოციალური საკითხის წინ წამოწევასა და მისი მოგვარების რადიკალურ გზაზე (ინდივიდუალური ტერორი), აგრეთვე მათთვის დამახასიათებელ, ეროვნულ ნიჰილიზმზე, – მნიშვნელოვან ბარიერს ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული მსოფლმხედველობრივი პრინციპებიც ქმნიდნენ. სხვა საკითხია ასეთი კავშირის ძიება 80–იანი წლების ქართველი ხალხოსნების იმ ნაწილთან, რომელიც ეროვნულ პლატფორმას იზიარებდა, რაც ი. ჭავჭავაძის უშუალო გავლენით მოხდა.

ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, მისი მრავალმხრივი პრაქტიკული მოღვაწეობა მთლიანად განმსჭვალულია ეროვნული სულისკვეთებით, განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეით. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მის მიერ სოციალური პრობლემის დაკნინებას. პირიქით, ეროვნული კეთილდღეობის მიღწევა ილიას მხოლოდ მოწესრიგებული სოციალური გარემოთი, ზოგადად–სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებით წარმოედგინა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელს იმპერიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას ობიექტური კანონზომიერებები იწვევდა. ჩვენში კი განმათავისუფლებელი ბრძოლების მდიდარი გამოცდილება, თვითმყოფადი კულტურული და ლიტერატურული ტრადიციები, საზოგადოდ–ხალხის პატრიოტული შემართება – ეროვნული მოძრაობის აღმავლობისათვის ნაყოფიერ გარემოს ქმნიდა. ეს მრავალმხრივი მემკვიდრეობა თერგდალეულთა იდეური მრწამსის მასაზრდოებელი წყაროდ იქცა (30).

დიდი იყო, აგრეთვე, უცხოეთში (იტალია, პოლონეთი) მიმდინარე განმათავისუფლებელი ბრძოლებისადმი ინტერესი და მათი შესაბამისი გავლენაც ქართველ სამოციანელებზე.

თერგდალეულთა ეროვნულ–განმათავისუფლებელ განწყობილებაზე თავისებურ გავლენას ახდენდა რუსული დემოკრატიული აზრიც. ბუნებრივია, მეტროპოლიის სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ქართველი საზოგადოების მისწრაფებისა და სულისკვეთების ერთ–ერთ წყაროს წარმოადგენდა. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მოცემულ ეტაპზე მიმდინარე სოციალურ–ეკონომიკური ძვრები: ბატონყმობის გაუქმება, მომდევნო ბურჟუაზიული რეფორმები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აღმავლობა, პიროვნების განთავისუფლება, თავისუფალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დანგრევა. ყოველივე ამან სტიმული მისცა ბრძოლის გააქტიურებას.

ილია ქართველი ხალხის ეროვნულ ბრძოლას რუსეთის სოციალ–განმათავისუფლებელ მოძრაობასთან გარკვეულ კავშირში განიხილავდა, თუმცა ეს კავშირი სიტუაციური იყო და არა იდეური სიახლოვით განპირობებული.

ვითარების შესაბამისად, თანაც ბრძოლის მშვიდობიანი ფორმების აღიარებით, ი. ჭავჭავაძეს სამშობლოს განთავისუფლება ეტაპობრივად წარმოედგინა.

თავდაპირველად პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება პერსპექტივაში სრული სუვერენიტეტის საწინდარი უნდა გამხდარიყო. ამ მიზნის განხორციელებას უკავშირებდა იგი სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობას: „საქართველოსთვის მე მომიხდება დავიცვა ფართე თვითმმართველობა საკანონმდებლო უფლებებით ადგილობრივ საჭიროებათა და ინტერესების დარგში“ (34).

ი.ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამაზე საუბრისას საჭიროა შევეხოთ აზრს ილიას შეხედულებათა სისტემაში მომხდარი ცვლილების, მასში შემრიგებლური პოზიციის ჩამოყალიბების შესახებ. ილიას პოზიციის სახეცვლილებაზე საუბრისას მკვლევართა უმრავლესობა აქცენტს სოციალურ–ეკონომიკურ სფეროში მომხდარ ძვრებზე აკეთებს. პროგრესული რეფორმები ხელს უწყობდა ეკონომიკის წინსვლასა და წარმოების რენტაბელობას, რაც მართლაც მეტ პრეგმატიზმს ანიჭებდა საქართველოს რუსეთთან ურთი-

ერთობას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ფაქტორებს არ შეეძლოთ და არც შეუტანიათ თერგდალეულთა ეროვნულ და სოციალურ კონცეფციაში თვისებრივი ცვლილება.

დაბოლოს, თერგდალეულთა მსოფლმხედველობაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ე.წ. „დასების თეორიას". ეს პრობლემა პირველად სამსჯავროზე გ. წერეთელმა გამოიტანა (32).

მისი თვალსაზრისი გაიზიარეს მკვლევარებმა: შ. რადიანმა, გ. აბზიანიძემ, ა. კიკვიძემ, ზ. შველიძემ და სხვებმა. ისინი გასული საუკუნის 60–იან წლებში თერგდალეულთა შორის მომხდარ განხეთქილებას უკავშირებდნენ არა პროგრამულ საკითხებზე დავას, არამედ სოციალური პროგრესის ავანგარდული ძალის განსხვავებულ ხედვას.

თერგდალეულთა დასებად დაშლის საკითხი საფუძვლიანად გამოიკვლიეს ლ. გორგილაძემ, ი.ბოცვაძემ, ა. სურგულაძემ. მათ განხეთქილების თარიღად XIX საუკუნის 70–იანი წლები დაასახელეს (5;103) და იგი განსხვავებული კლასობრივი ინტერესით ახსნეს. ძირითადად იდენტურია ალ. ბენდიანიშვილის (2;160), ა. კიკვაძის (12; 77), პრ. რატიანის (18;465) შეხედულებები.

დასების წარმოშობის მიზეზად წოდებრივ–იდეოლოგიურ პრინციპს მიიჩნევენ ს. ხუნდაძე (26; 217), პ. გუგუშვილი (8; 105), და მ. გაფრინდაშვილი (3; 5–6) – იმ განსხვავებით, რომ მათ მიერ წამოყენებული სქემები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივ–პოლიტიკური მიმდინარეობის დროში მეტ კონკრეტიზაციას ისახავენ მიზნად. დასების ზოგადი მიმართულების დახასიათებისას ძირითადად ანალოგიურია წიგნის – „საქართველოს ისტორიის" ავტორების პოზიციაც. ისინიც მათი სოციალური შეხედულებების განსხვავებულ კლასობრივ ბუნებას აღიარებენ (21; 243).

დასების აღმოცენების მიზეზების კლასობრივ საფუძველზე ახსნის წინააღმდეგია ფ. ლომაშვილი: „არავითარი საფუძველი არა გვაქვს ქართველი თერგდალეულები ცალკეულ კლასებად დავყოთ და მის ცალკეულ წარმომადგენლებს ამა თუ იმ კლასის იდეოლოგების იარლიყი მივაწებოთ" (13;90).

ჩვენც არასწორად მიგვაჩნია ი.ჭავჭავაძის სოციალურ შეხედულებათა სისტემა საზოგადოების რომელიმე ნაწილის ინტერესებით განისაზღვროს და მის მსოფლმხედველობრივ პრინციპად ვიწრო კლასობრივი ორიენტაცია გამოცხადდეს. საერთოდ კი თერგდალეულთა ერთიანი ჯგუფის დაშლა 70–იანი წლების მიწურულს საგლეხო რეფორმის შედეგად კაპიტალიზმის განვითარებამ და, შესაბამისად, კლასობრივი ანტაგონიზმის გაღრმავებამ გამოიწვია. მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ქართულ განმათავისუფლებელ მიძრაობაში რამდენიმე მიმდინარეობა გამოიყოფა. ილიას ხელმძღვანელობით გაზეთ „ივერიის" ჯგუფი კვლავ ერთიანი ერის იდეას აღიარებს; ნ. ნიკოლაძე სოციალურ პროგრესს ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებას უკავშირებს, ხოლო გ. წერეთელი სოციალისტური იდეების გავლენით ორივე მიმართულებას უპირისპირდება. ისინი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებს განსხვავებულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე წყვეტენ. თუ პირველი დასი კვლავაც ერთიანი (ზეწოდებრივი) ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგას, მეორე ღასი ერთი შეხედვით უფრო რადიკალურ (და ამდენადვე არარეალურ) სოციალურ პრობლემას აყენებდა წინა პლანზე.

ამრიგად, მკაცრი იდეოლოგიური ზეწოლის შედეგად ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა ცალმხრივად და ტენდეციურად ფასდებოდა. ქართველ სამოციანელთა ბრძოლას უკავშირებდნენ რადიკალურ რევოლუციურ, ასევე – რუსულ–განმანათლებლურ მოძრაობას, რითაც ჩვენი მოღვაწეების ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მექანიკური მიბმა ხდებოდა საერთოიმპერიულ სოციალურ–განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ასეთი პოზიცია ეროვნულ საფუძველს აცლიდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

სინამდვილეში ილიას მსოფლმხედველობა ეროვნულ ძირებზე იყო აღმოცენებული, და მას კვებავდა წინა-

მორბედთა იდეური მემკვიდრეობა, უფართოესი და მრავალმხრივი ერუდიცია და ერის სასიცოცხლო ინტერესები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ანთელავა ი. საზოგადოებრივ–პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში. თბ., 1967.
2. ბენდიანიშვილი ალ. სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში. თბ., 1971.
3. გაფრინდაშვილი მ. ქართული განმანათებლობა. თბ., 1969.
4. გაგოიძე ვ. ი.ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა. 1962.
5. გორგოლაძე ლ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ., 1961.
6. გორგოლაძე ლ. სოციალიზმის ისტორიიდან. ტ.1.თბ., 1967.
7. გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა. თბ., 1941.
8. გუგუშვილი პ. კარლ მარქსის სახე ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებაში. თბ., 1956.
9. თავაძე ა. ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები. 1954.
10. კაჭარავა ი. თერგდალეულთა ისტორიოგრაფიის საკითხები. თბ., 1962.
11. კენჭოშვილი ი. ილია ჭავჭავაძე. თბ., 1954.
12. კიკვიძე ა. საქართველოს ისტორია. XIX–XX ს. თბ., 1959.
13. ლომაშვილი ფ., გეგეშიძე ზ., მარქსიზმ–ლენინიზმის გავრცელება საქართველოში. თბ., 1989.
14. მებზევიშვილი ზ. პეტრე უმიკაშვილი, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი. თბ., 1967.
15. მეძველია კ. თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები. ტ.1.თბ., 1959.
16. რადიანი შ. ქართველი მწერლები. თბ., 1963.
17. რატიანი პრ. თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან. 1962.